



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

ქ. რუსთავში, შპს "ჯეო ენტერპრაიზის" უკანონოდ აშენებული მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის გარემოს ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე პროცესის თაობაზე

21 ივნისი, 2022

2022 წლის 7 ივლისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება სათაურით: „გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ - ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პროექტი“. აღნიშნული განცხადებით გათვალისწინებული პროცესი არაერთი უხეში კანონდარღვევით მიმდინარეობს, თუმცა აქ მხოლოდ რამდენიმეზე მივუთითებთ, რომელიც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის უპირობო საფუძველი იქნება.

1. განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ჯეო ენტერპრაიზმა“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა და შესაბამისად, სამინისტრომაც დაიწყო განცხადების განხილვისათვის ადმინისტრაციული წარმოება. ამავე განცხადების თანახმად, სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თურმე სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. ხოლო, ახლა კვლავ აგრძელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2022 წლის 16 მარტს დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნათელია, რომ სულ მცირე, ეს გარემოება არის პროცესის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველი. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას აღემატება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა და/ან გაგრძელება.

2. წარმოების შეწყვეტის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, ასევე, ეწინააღმდეგება დამატებითი ინფორმაციის წარდგენისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებულ წესს.

სააგენტომ შპს "ჯეო ენტერპრაიზს" გაგზავნილი „შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის“ წარდგენა მოსთხოვა; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს შენიშვნების უმეტესობა წარდგენილი დოკუმენტის შესწორებას მოითხოვს.

ამასთან, როგორც ცნობილია, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ შენიშვნების მოშვადებისა და მიცემის შესაძლებლობას. კოდექსი შენიშვნების წარდგენის

უფლებას დაინტერესებულ საზოგადოებას აძლევს და ეს შენიშვნები გადაწყვეტილების მიმდები ორგანოსთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გასათვალისწინებლად არის განკუთვნილი და არა გადაწყვეტილების მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტის დასახვეწად. გაუგებარი იყო სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ და „მწვანე ალტერნატივას“ მიერ სამინისტროში წარდგენილი შენიშვნების კომპანიისათვის გაგზავნის მიზანი.

3. წარმოების შეწყვეტის შესახებ [გადაწყვეტილებაში](#) აღნიშნულია, რომ „შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე“. აღნიშნულის გათვალისწინებით აზრი დაკარგა ჩატარებულმა საჯარო განხილვამ, რომელზეც სწორედ ის ინფორმაცია იქნა განხილული, რომელიც არ იყო საკმარისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისათვის სამსჯელოდ. სააგენტოს შენიშვნებზე პასუხად წარდგენილი ინფორმაცია გაურკვეველი საფუძვლით აღარ განდა საჯარო განხილვის საგანი.

4. 2022 წლის 7 ივლისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, საზოგადოებას ჰქონდა 2 კვირა „დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების“ წარდგენის შესაძლებლობა. გაუგებარია, რა პროცედურაა, ვისთვის არის განკუთვნილი და რა მიზანს ემსახურება დამატებით წარდგენილ (და არა განახლებულ სრულ დოკუმენტაციაზე) ინფორმაციაზე შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა. ასევე, გაუგებარია რას ეფუძნება დამატებით წარდგენილი დოკუმენტების განხილვისთვის დადგენილი 2 კვირის ვადა.